№185 2016 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის“ დასაფინანსებლად საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის ფინანსური ხელშეკრულების დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რათა საქართველოს სახელით დადოს საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის ფინანსური ხელშეკრულება - „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი“ შემდეგი ფინანსური პირობებით:

სესხის ოდენობა	-	100 მილიონი ევრო;
სესხის ხანგრძლივობა	-	25 წელი;
შეღავათიანი პერიოდი	-	5 წელი;
სესხის საპროცენტო განაკვეთი (თითოეული ტრანშისთვის განისაზღვრება ტრანშის ჩამორიცხვამდე)	-	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან EURIBOR-ზე/LIBOR-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი;
ადმინისტრირების გადასახდელი	-	50,000 ევრო (ერთჯერადი გადასახდელი).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**